საქართველოს მთავრობის

დადგენილება №12

2022 წლის 14 იანვარი

ქ. თბილისი

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/05/2020, 470230000.10.003.022034) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“:

1. მე-4 მუხლის 6^5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6^5. 2022 წლის 14 იანვრიდან 2022 წლის 16 იანვრის 06:00 საათამდე ამ მუხლის მე-6 პუნქტის შეზღუდვა არ გავრცელდეს ელექტრონული მუსიკის მოსასმენ სივრცეებსა და ღამის კლუბებზე.“.

2. მე-5 მუხლის 1^4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1^4. 2022 წლის 14 იანვრიდან 2022 წლის 16 იანვრის 06:00 საათამდე ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ გავრცელდეს ელექტრონული მუსიკის მოსასმენ სივრცეებსა და ღამის კლუბებზე.“.

3. მე-6 მუხლის 1^4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1^4. დასაშვებია 2022 წლის 14 იანვრიდან 2022 წლის 16 იანვრის 06:00 საათამდე ელექტრონული მუსიკის მოსასმენი სივრცეებისა და ღამის კლუბების საქმიანობა, „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული რეკომენდაციების დაცვით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 14 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**